ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

ცაგერის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო რეგისტრაციის ნომერი: №57/1-180

თებერვალი--მარტი

ინფორმაცია

ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო კონფერენცია.

კონფერენციას დელეგატების გარდა ესწრებოდნენ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციის, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით სვანიძე**

სიტყვებით გამოვიდნენ მოქალაქეთა კავშირის ცაგერის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე **დათო კოპალიანი**, ორბელის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე **ნორა მახარობლიძე**, კრიმინალური პოლიციის უფროსი **ამირან კვირკაშვილი**, ლაჯანურჰესის დირექტორი **ვალერი ლომთათიძე**, განათლების განყოფილების გამგე **გულივერ ბრეგვაძე**, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **სარდიონ ფუტკარაძე, შალვა კვირკაშვილი.**

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ცაგერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე **ონერ ნემსწვერიძე.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტის რწმუნებულის პირველმა მოადგილემ რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში, მოქალაქეთა კავშირის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ **დავით დარახველიძემ.**

რატომ შესუსტდა მოქალაქეთა კავშირის ავტორიტეტი, ეჭვქვეშ ხომ არ დგება არჩევნებში მისი გამარჯვება, იყიდება თუ არა ლაჯანურჰესი, ვის აღელვებს თითზე ჩამოსათვლელ ომის ვეტერანთა ბედი--ეს და სხვა უამრავი კითხვა გაუჩნდათ კონფერენციის მონაწილეებს, რომელთაგან ბევრს იქვე გაეცა პასუხი, მდგომარეობიდან თავის დაღწევის ოპტიმალურ გზებზეც ითქვა.

გაიმართა არჩევნები. მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ კონფერენციამ აირჩია **ზურაბ ხეცურიანი**, მოადგილეებად--**ონერ ნემსწვერიძე, დავით სვანიძე.**

26 თებერვალს რაიონის მოსახლეობას საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი კარლო აკაკის ძე მუშკუდიანი სარაიონო კულტურის სახლში მოწყობილ საგანგებო თავყრილობაზე შეხვდა. ბატონმა დეპუტატმა რაიონის მმართველობისა და თვითმმართველობის, სამართალდამცავი ორგანოების, წარმოებაგაწეულებათა ხელმძღვანელთაგან მოითხოვა ინფორმაციები მათ მიერ გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ინფორმაციით გამოვიდნენ: რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ხეცურიანი, კულტურის განყოფილების გამგე დავით სანთელაძე, სააქციო საზოგადოება ელექტროქსელები „ლეჩხუმი"-ს დირექტორი ცაგუ ახვლედიანი, პოლიციის უფროსის მოადგილე, ადამინისტრაციული პოლიციის უფროსი რეზო ომანიძე, განათლების განყოფილების ინსპექტორი ლელა ლომთაძე, რაიონის პროკურორი ზურაბ ქურასბედიანი, სოციალური დახმარების განყოფილების გამგე გულნაზ კოპალიანი, ელექტროკავშირგამბულობის უფროსის მოადგილე იური ჭაბუკიანი, სატყეო მეურნეობის დირექტორი მამუკა ახვლედიანი, აგრომრეწვბანკის მმართველი ბონდო ჭაბუკიანი, საფინანსო განყოფილების გამგე ნაირა ბერაძე, საგადასახადო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კარლო თოთაძე, აფხაზეთიდან ლტოლვილი ბიჭიკო ბენდელიანი, რაიონის გამგებელი ბატონი ონერ ნემსწვერიძე.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა დეპუტატი კარლო მუშკუდიანი, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა ლეჩხუმისათვის საჭირბოროტო და გადასაწყვეტი საკითხები. აღნიშნა პოლიციისა და ელექტროქსელების არასაკმარისი მუშაობის შესახებ. განსაკუთრებულად შეეხო რაიონში შექმნილი რთულ ენერგეტიკულ მდგომარეობას. გამოიკვეთა, რომ „ლაჯანურჰესის" დირექტორისა და დეპუტატის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან ბატონ დავით მირცხულავასთან მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა მთელი რიგი შეთანხმებები და უახლოეს მომავალში რაიონს ელექტროენერგია მიეწოდება შეუფერხებლად.

დეპუტატმა თავის გამოსვლაში მიმოიხილა თითქმის ყველა სფერო. დაისახა სამომავლო ამოცანები და მათი განხორციელების გზები.

დღეს ნომერშია:

ვალერი ლომთათიძე:
„მე აქ იმისათვის არ ჩამოვსულვარ, რომ ლეჩხუმს ელექტროენერიის მიწოდება შევუწყვიტო..."
(გვ 2)

ნუნუ ჩაკვეტაძე:
სკოლა ჩემი ცხოვრების ნაწილია
(გვ. 3)

პიერ ფუტკარაძე:
როგორ განაწილდა ფულადი დახმარება?
(გვ.4)

...რადგან შემთხვევით არაფერი ხდება.
(გვ.5)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ლეჩხუმს ელექტროენერგიის მიწოდება შევუწყვიტო“

ინტერვიუ ლაჯანურჰესის დირექტორ ბატონ ვალერი ლომთათიძესთან.

ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის ჩვენი გაზეთის წინა ნომრიდან ცნობილი გახლდათ რათდენ ვეშურებოდით ლაჯანურჰესის ახალ დირექტორთან, ბატონ ვალერი ლომთათიძესთან შეხვედრას, რათა გაგვერკვია ჩვენი დღევანდელი საგალალო მდგომარეობა ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ.

ლაჯანურჰესში ჟურნალისტური ვიზიტით მისვლამდე პირველად ლაჯანურჰესის ექიმმა გვიმასპინძლა, რომლის ლამის პროფესიული დახმარებაც კი დაგვჭირდა თვალისმომჭრელად აზრდღვიალებული ელნათურების ხილვისას, მაგრამ... ამჯერად გადავრჩით. მისივე მეგზურობით ბატონ ვალერი ლომთათიძის კაბინეტში აღმოვჩნდით და თან მივიტანეთ ექიმებისა, პედაგოგებისა თუ გლეხების მოთხოვნა — მოგვეცით სინათლე!

ბოლოს და ბოლოს, დაგვიანებული ინტერვიუც შედგა.

ბიოგრაფიული ცნობები: დაიბადა 1956 წელს თბილისში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, წლების მანძილზე მუშაობდა რიონის ჰესების კასკადის დირექტორად, თბილისის თბოელექტროცენტრალის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ დირექტორად, 2001 წ. ნოემბრიდან დაინიშნა ლაჯანურჰესის ხელმძღვანელად. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ლაჯანურჰესის ისტორიიდან.

ლაჯანურის ჰიდრო ელექტროსადგური აგებულია მდინარეების ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალჩამონადენზე. ამგვარად, ლაჯანურჰესი გადაიქცა ორი მდინარის — რიონისა და ცხენისწყლის დამაკავშირებელ რგოლად.

სადგურის სათავე კვანძი აგებულია ცხენისწყალზე, ქალაქ ცაგერთან. ამ კვანძის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს 4 ბალიანი ბეტონის დაბალზღურბლიანი კაშხალი.

ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი პირველი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში. იგი წინამორბედია ენგურჰესის თაღოვანი კაშხალისა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში.

ჰესის შენობაში სამი ჰიდროაგრეგატია. აქ დადგმულია რადიალურ-ღერძული ტიპის ვერტიკალური ტურბინები.

ტურბინებში გამოყენებული წყალი შემწოვი მილებიდან ჩადის გამყვანი გვირაბის შემკრებ კოლექტორში, შემდეგ კი არხით უერთდება რიონს.

ლაჯანურჰესის პირველი აგრეგატი ამუშავდა 1960 წლის იანვარში, ხოლო უკანასკნელი — იმავე წლის ივნისში. მაშასადამე, ლაჯანურჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლად დაფიქსირებულია 1960 წელი.

ამჟამად, მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ ერთი აგრეგატი, რემონტის შედეგად შესაძლებელი იქნება ამუშავდეს მეორეც.

--ბატონო ვალერი თქვენ თბილისელი, უფრო სწორად გური ბრძანდებით, როგორ მიგიღოთ ლეჩხუმმა და როგორ შეეგუეთ ლეჩხუმელებს?

--წლების მანძილზე რიონჰესში ვმუშაობდი, მაშინ ლაჯანურჰესი რიონჰესის მმართველობაში შამოდიოდა, ასე რომ ლეჩხუმთან და ლეჩხუმელებთან ადრიდან მქონდა შეხება და კეთილგანწყობა, რომელიც ვფიქრობ უფრო განმტკიცდება.

--როგორც ჩვენთვის ცნობილია, უშუქობის დღევანდელი მიზეზი გაუთავებელი რემონტია ერთადერთი მუშა აგრეგატისა. რატომ გახდა რემონტი ასე დაუსრულებელი?

--ჯერ რემონტში იმყოფებოდა აგრეგატის ერთი საკისარი, დასრულდა მისი შეკეთება თუ არა, დაზიანდა მეორე, რომლის რემონტის დასრულებისას, ელექტროენერგიის ქსელში გაშვების მომენტში გვიმტყუნა აგრეგატის ე.წ. ქუსლმა, რომელიც უნდა გადაიგზავნოს თბილისში შესაკეთებლად. ტრანსპორტირებისა და რემონტის დროს თუ გავთვლით, დაახლოებით ერთ კვირაში ელექტროენერგია, ვფიქრობ, უკვე მომხმარებელს მიეწოდება.

--ვინ აწარმოებს აღნიშნულ რემონტს კონკრეტულ შემთხვევაში?

--რემონტს აწარმოებს მოიჯარე ორგანიზაცია „საქენერგორემონტი“, რომელიც მდებარეობს თბილისში, არის სპეციალიზებული და ამასთან ერთადერთი, სხვა მსგავსი ორგანიზაცია საქართველოში არ არსებობს.

--რატომ ზიანდება ხშირად ასეთი საიმედო ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტურბინა?

--თბილისში ჩასვლისას ყველა მიზეზი ამ ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად დადგინდება.

--როგორც თქვენ ბრძანეთ, ერთ კვირაში ელექტროენერგია მომხმარებელს მიეწოდება, როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა ველოდოთ კიდევ ერთი ახალი ნაწილის დაზიანებას, ანდა სინამდვილესთან ახლოს ხომ არ არის გავრცელებული ჭორი ტურბინის დაწვის, წყობილებიდან სრული გამოსვლის შესახებ. გვაძლევთ სრულ გარანტიას, რომ თქვენს მიერ დასახელებულ დროში დენი გვექნება?

--ტურბინის დაწვა სინამდვილეს არ შეესაბამება, მიზეზი მე დაგისახელეთ, რაც შეეხება გარანტიას, ზუსტ დაპირებაზე თავს ვიკავებ, მაგრამ რისი დაზიანებაც შეიძლებოდა ამ მონაკვეთში, თითქმის ყველაფერი დაზიანდა და შეკეთდა, ამდენად, 99% არის იმედი, რომ ელექტროენერგია იქნება.

--როგორი გრაფიკით მიხდება ელექტროენერგიის მიწოდება?

--როცა რემონტი დამთავრდება, წყლის ნაკლებობის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება გრაფიკით: დილით ორი საათით — 8-დან 10-მდე, ხოლო საღამოს — 19 საათიდან 22 საათამდე, ხოლო დაახლოებით მარტის თვიდან, როდესაც წყლის დონე მოიმატებს, მიწოდება მოხდება 24 საათიანი გრაფიკით.

--რა რაოდენობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ლაჯანურჰესი?

--110 მეგავატი არის ლაჯანურჰესის დადგმული სიმძლავრე, ამჟამად გამოიმუშავებს 70 მეგავატ ელექტროენერგიას, როცა არის ორი აგრეგატის მუშაობის შესაძლებლობა.

--როგორ და სად ნაწილდება გამომუშავებული ელექტროენერგია, რას მოიხმარს აქედან [illegible] რაიონი?

--ელექტროენერგია ნაწილდება სამი ხაზით: ორბელის ხაზი (აქედან მიეწოდება ცაგერის და ლენტეხს), ჭრებალოს ხაზი, მესამე ხაზი მიდის საერთო სისტემაში. ცაგერის და ლენტეხის რაიონებს სჭირდებათ 3-დან 5 მეგავატამდე.

--ეს მესამე ხაზი ხომ არ არის ჩვენი დამღუპველი დენის გაყიდვის თვალსაზრისით?

--რატომ დამღუპველი? ჭარბი ენერგია, როგორც წესი, საერთო სისტემაში მიდის, თუმცა ლეჩხუმში თურმე იმასაც ამბობენ, რომ მე დენს ტყიბულში ვყიდი.

--დიახ, არა მარტო ტყიბულში, ზესტაფონში, თერჯოლაში და ა.შ.

--არა, დენის განაწილება მე არ შემიძლია, ის ერთიანად მიდის საბითუმო ბაზარში.

--საბითუმო ბაზარს ხომ შეუძლია განაწილება, ჩვენთვის ვინ გაყიდის რა მნიშვნელობა აქვს.

--საბითუმო ბაზარი ხდება ჩემს მიერ გამომუშავებული ენერგიის პატრონი, განაწილება-გაყიდვა იქაური დისპეჩერის საქმეა.

--ახლა, როცა ჩვენ თავად არ გვყოფნის ელექტროენერგია, არ შეიძლება, რომ მესამე ხაზს არ მიეწოდოს?

--რათქმაუნდა, ახლა ენერგია არსად არ გადის, პირიქით, საბითუმო ბაზრიდან აქეთ შემოდის, რომ 1-2 საათით მაინც მიეწოდოს მოსახლეობას.

--არ დაგიმალავთ და ხალხი უდენობას თქვენ, ახალ დირექტორს გაბრალებთ.

--დასაზიანებელი ნებისმიერი დირექტორის მმართველობისას დაზიანდებოდა. ჩემთვის ჰესის გაჩერება არცერთ შემთხვევაში არ არის მომგებიანი. მე აქ იმისათვის ვარ ჩამოსული, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს და არა იმისთვის, რომ ლეჩხუმს დენი არ მივსცე. შევეცდები უახლოეს მომავალში დაგიმტკიცოთ კიდევაც ეს.

--იმასაც გეტყვით, რომ მოთმინებადაკარგული მოსახლეობა ჯერ ფარების ჩაკეტვით, ხოლო შემდეგ ჩვენი უნიკალური ჰესის აფეთქებითაც კი იმუქრება. ეს გამოსავალი არ არის, მაგრამ გამწარებული კაცი, მოგეხსენება, ყველაფერს ჩაიდენს.

--მართალი ბრძანდებით, ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვ ლეჩხუმელებს გაგებით მოეკიდონ შექმნილ მდგომარეობას.

--არც ლაჯანურჰესის თანამშრომლები ხართ ერთმანეთთან შეთქმულნი? აქვე გვითხარით, თუ შეიძლება, რამდენი თანამშრომელი ჰყავს ჰესს და როგორ ფინანსდებით?

--არც ეს შეესაბამება სინამდვილეს, მუშები თავს არ იზოგავენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამჟამად ლაჯანურჰესი დაკომპლექტებულია 150 თანამშრომლით, რომელთა ხელფასის ანაზღაურებას ყოველთვიურად 75 ათასი ლარი ესაჭიროება. გვაქვს ხელფასების 12 თვიანი დავალიანება, ჩემი მოსვლიდან, ე.ი. ნოემბრიდან ხელფასები ყოველთვიურად იცემა.

ხარჯებს თუ დავუმატებთ, ეს თანხა 100-120 ათას ლარს შეადგენს. ყოველთვიურად აღნიშნული თანხა რომ მეძლეოდეს, ყველაფერი რიგზე იქნება, რემონტსაც საფეხურებრივად და დროულად ჩავატარებთ. საბითუმო ბაზარს 4 მილიონამდე ლარის დავალიანება აქვს ჰესის, ჩვენ კი გაწეული რემონტისათვის. ფულის სესხება გვიხდება.

--თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ლაჯანურჰესის ტერიტორია და ახლომახლო სოფლები უდაბნოს ოაზისივით მოსჩანს ჩაბნელებული ლეჩხუმის ფონზე. საიდან მიეწოდება გაჩერებულ ჰესს აღნიშნული ელექტროენერგია.

--ამ ენერგიას საბითუმო ბაზრის დისპეტჩერი გვაწოდებს (სულ 0,2 მეგავატი), ერთი საათით დენის გამორთვაც კი ჰესის დატბორვას და დაძირვას გამოიწვევს, გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის გამზადებული გვაქვს საკუმულიატორო ბატარეები და საკუთარი მოხმარების ტუმბოები, რაც შეეხება სოფ. ალპანას, ისიც ამ ქსელზეა მიერთებული და ამდენად, მის გამორთვას ვერ ვახერხებთ.

--არ შეიძლება ასეთივე ფორმით მხოლოდ ცაგერს ან მხოლოდ ისეთ სასიცოცხლო ობიექტებს, როგორიც საავადმყოფო ან ფოსტა და ელკავშირია, მუდმივად მიეწოდოს ელექტროენერგია? უდენობა და უტელეფონობა მიზეზთაგანია იმ ტრაგიკული შემთხვევისა, რომელიც სოფელ ზუბში ახალგაზრდა გოგონას გარდაცვალებით დამთავრდა.

--ასეთი რამ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად არ მოხდება სხვა ობიექტებზე ელექტროენერგიის მიწოდება, რასაც ცაგერის ენერგოკომპანია ვერ ახერხებს.

--ელექტროენერგიის გამორთვის ერთ-ერთ მიზეზად რესპუბლიკის მასშტაბით სახელდება საფასურის გადაუხდელობა;

როგორია ამ მხრივ რაიონის მდგომარეობა?

--ლაჯანურჰესის დირექცია გადახდა — არგადახდას არ აკონტროლებს, ამ შემთხვევაში მაკონტროლებელი გახლავთ საბითუმო ბაზარი, თუმცა, როგორც ცნობილია, გადახდის ციფრი ძალზედ დაბალია.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

—ლაჯანურჰესმა სიკეთესთან ერთად ზიანიც მოუტანა ლეჩხუმს, მათ შორის მეწყრიანობა, ენდოკრინული დაავადებების მაღალი მაჩვენებელი და ა.შ.

ასე, რომ, მიმაჩნია, ჩვენთვის გადახდის მხრივ რაღაც შეღავათები უნდა არსებობდეს.

თქვენ ბრძანეთ, რომ გადახდას საბითუმო ბაზარი აკონტროლებს, ხომ არ განიცდით ზეწოლას ამ მხრივ დენის შეწყვეტის მიმართულებით?

ამის პასუხად ბატონმა ვალერიმ ოფიციალურები წერილები დამილაგა წინ, რომლებშიც ლეჩხუმისათვის ელექტროენერგიის შეწყვეტას მოითხოვდნენ კატეგორიულად და რომელსაც „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" და „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის" ხელმძღვანელები აწერდნენ ხელს.

—თუმცა რაც არ უნდა დარღვევად ჩამითვალონ, მე ამის გამო ლეჩხუმს ელექტროენერგიას არ შევუწყვეტ.

—ჩვენი მდგომარეობის შემყურეს ქართული ზღაბარი „ცისკარა" მაგონდება, ჩვენგან განსხვავებით ამ ზღაპარში ბოროტი დევი წყალს არ აწვდის ხალხს მსხვერპლის გაუღებლად. დაჩაგრულებს კი მოსარჩლედ ამ დროს ცისკარა ევლინება. თქვენ თქვენს თავს ბოროტ დევად სახავთ თუ ცისკარად?

—ხალხს ბოროტი დევი ვგონივარ, ალბათ, ამ შემთხვევაში, გასაკვირიც არაა, თუმც იმ წერილებს თუ დავუჯერებთ, რომლებიც ახლა გაჩვენეთ, ცისკარა ვყოფილვარ. ცისკარობა სჯობს, რადგან სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

—რას უსურვებთ და რას დაჰპირდებით ლეჩხუმს და ლეჩხუმელებს?

—დაპირებებზე ძუნწი გახლავართ, იმიტომ, რომ პირობა აუცილებლად უნდა შევასრულო, რაც შეეხება სურვილებს, პირველ რიგში, როგორც ენერგეტიკოსი, ვუსურვებ სინათლეს, ყოველთვიურ ხელფასს, დასაქმებას, სოციალურ პრობლემათა მოხსნას,

ბედნიერებას და სიკეთეს.

—გმადლობთ!

ლაჯანურჰესიდან წამოსულებს თვალი დაგვრჩა მოციმციმე ნათურებზე, როგორ ვინატრეთ ერთი სიმბოლური ნათურის წამოღება მაინც ყოფილიყო შესაძლებელი.

—ჩვენ სენტიმენტალური რომანტიზმის მიმდევრები არ გახლავართ, მაგრამ რაღაც ნოსტალგიისმაგვარმა შეგვიპყრო იმ ბედნიერი დროისამ, როცა დენი სანატრელი არ იყო, როცა ორბელის უღელტეხილის გადმოსახედიდან დღევანდელივით ჩაბნელებული დაბლობი კი არა, აკაშკაშებული, მოციმციმე ცაგერი გადაგვეშლებოდა თვალწინ.

P.S. ზუსტად ორი კვირის თავზე ჩვენი ინტერვიუდან, რადგან თურმე ტექნიკური მიზეზების გამო, დენი ისევ არ ჩაირთო, კიდევ ერთხელ მოტყუებულმა ლეჩხუმელებმა აასრულეს დანაპირები და ლაჯანურჰესისაკენ მიმავალი ცხენისწყლის გადაკეტვა მოახერხეს, აღშფოთებულ ხალხს უკვე ვეღარაფერი აწყნარებდა.

ლამის ჩვენც შეგვერყა ბატონ ვალერი ლომთათიძის მიმართ ის დიდი რწმენა, ჰესიდან წამოსვლის შემდეგ რომ გამოგვყა, მაგრამ ამ ფაქტს მალევე მოვყვა მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ კარლო მუშკუდიანის ჩამობრძანება ლეჩხუმში, რომელმაც ამომრჩევლებთან შეხვედრისას აუწყა მოსახლეობას, რომ ჰესის დირექტორი თბილისში მასთან ერთად მთელი ძალისხმევით ზრუნავს ელექტროენერგიის მიწოდების საკითხის მოგვარებისათვის; მანვე უარყო ლაჯანურჰესის გაყიდვის მცდელობაც, გაცილებით ადრე ეს ფაქტი ჩვენთან საუბრისას ბატონმა ვალერი ლომთათიძემაც უარყო. ხალხი ენდობა თავის დეპუტატს და სჯერა მისი. ვფიქრობ, ამ ბოლო დღეებში გამოსწორებული ენერგეტიკული მდგომარეობა ლაჯანურჰესის დირექტორის მიმართაც მოგვიმატებს ნდობას, მით უფრო, რომ დანაპირები ოცდაოთხსაათიანი გრაფიკი უკვე შორს აღარ არის

თამარ დავითულიანი

ინტერვიუ ნუნუ ჩაკვეტაძესთან:

„სკოლა ჩემი ცხოვრების ნაწილია"...



დაიბადა1948 წელს ქ. ცაგერში მოსამსახურის ოჯახში. 1965 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაერიცხა ქიმიის ფუკულტეტზე. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. 1972-1988 წლებში მუშაობდა ცაგერის რაიონის სხვადასხვა სკოლებში ქიმიის მასწავლებლად, სახალხო განათლების განყოფილებაში მეთოდისტად, სასკოლო ინსპექტორად.

1988-2000 წლებში არის არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის სახელობის ცაგერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გმაგე.

2001 წლის იანვარში დაინიშნა ცაგერის არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის სახელობის ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორად.

ჰობი—კლასიკური ლიტერატურა.

—ქალბატონო ნუნუ, ამ თანამდებობაზე თქვენმა მოსვლამ დადებითი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. როგორ უყურებთ ამას და ელოდით თუ არა?

—ცაგერის საშუალო სკოლა რაიონის სკოლებს შორის ერთ-ერთი სათუთად მოსავლელი სკოლა-მუზეუმია თავისი ტრადიციებით, 125 წლის ისტორიით, რომლის იუბილე გასულ წელს ფართო მასშტაბით აღინიშნა. სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სიხარულს იზიარებდნენ მისი აღზრდილები: სწავლისა და ცხოვრების ფრიადოსნები: აკადემიკოსი თუ პროფესორი, ინჟინერი თუ ექიმი. ასევე სხვადარგის სპეციალისტები. საამაყო აქვს ისიც, რომ ოთხი მოწვევის პარლამენტიდან ორი პარლამენტარი ჩვენი სკოლის აღზრდილია. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, სკოლის ყოფილი დირექტორის ქალბატონ მანანა გორგასლიძის დაწინაურების შემდგ, საზოგადოებისათვის სულერთი არ იქნებოდა ასეთი ტრადიციების მქონე სკოლის ხელმძღვანელის საკითხი. საზოგადოების დადებითი რეაქცია იმან გამოიწვია, რომ დირექციის სრულ რგოლს ამ სკოლის აღზრდილები შეადგენენ.

—ალბათ გულისხმობთ ახალ სასწავლო ნაწილის გამგეს ქალბატონ ლალი ჩიქოვანს, რომელიც ამ სკოლის აღზრდილია და თქვენი ღირსეული შემცვლელი იქნება.

—დიახ, ლალი ჩიქოვანი ჩვენი სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებული გახლავთ. ამას ემატება სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლებაც, დიდი ტრადიციების მქონე ოჯახი. ასე რომ, ეკატერინე გუგავას და ლენა სვანიძის ღირსეული მოღვაწეობის შემდეგ ჩვენ უფლება არ გვაქვს მათ მიერ არჩეული გზით არ ვიაროთ. ეს არჩევანი სავსებით სწორად მიმაჩნია რაიონის განათლების განყოფილების გამგის ბატონ გულივერ ბრეგვაძის გადაწყვეტილებისა არ იყოს. „აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს".

—რას წარმოადგენს თქვენთვის სკოლა?

—შვიდი წლის ასაკიდან სკოლა ჩემი ცხოვრების ნაწილად ითვლება. მისით იწყება ჩემთვის ყოველი დღე. სკოლის თითოეული მუშაკის, თითოეული მოსწავლის, მშობლის სიხარული და ტკივილი, ჩემი სიხარული და ტკივილია. მინდა მათ სიხარული გავუგრძელო. ხოლო ტკივილი დავუამო. დიდი ილიას თქმისა არ იყო „მსურს უნუგეშოს ნუგეში მოვფინო"...

—თქვენთვის ცნობილია, დღევანდელი სოციალური ფონი, გნებავთ, მოსწავლისა დასაერთოდ საზოგადოების მენტალიტეტი. როგორ ფიქრობთ, გეყოფათ თუ არა ძალა სკოლა ჩაყენოთ ფორმაში?

—ბუნებით პესიმისტი არასოდეს ვყოფილვარ. ცხოვრებას ყოველთვის ოპტიმისტურად ვუყურებ. მჯერა მომავლის...

—დღეს რესპუბლიკაში ბევრს საუბრობენ სკოლების დახმარებაზე, თუნდაც გრანტების გამოყოფაზე. ამ თვალსაზრისით რა კეთდება ჩვენს სკოლაში და რა კრიტერიუმებით ნაწილდება ეს დახმარებები?

—მეც ისევე როგორც თქვენ, ინფორმირებული ვარ 60 მილიონიან სესხზე. რომელიც რესპუბლიკის სკოლებზე გადანაწილდება. აქედან კონკრეტულად ჩვენს რაიონზე რა წილი მოდის, ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი. მომავალი სასწავლო წლიდან არის იმედი, რომ მივიღებთ ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტებს (?!)

მივესალმები, რომ ლასურიაშისა და ორბელის საშუალო სკოლებს გამოუჩნდა მზრუნველი ქმაგი ბატონ ანზორ ბურჯანაძის სახით. იმედია, ამ გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობენ ანზორ ბურჯანაძის თაოსნობას ჩვენი სახელოვანი აღზრდილები და მშობლიური ცაგერის სკოლას სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ.

—სკოლის წარმატებად უპირველესად სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განისაზღვრება, რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

—სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განსაზღვრას სკოლის წარმატებას; რაც წარმოუდგენლად მიმაჩნია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიების, შესაფერისი პროგრამების, სახელმძღვანელოების, კვალიფიკაციური პედაგოგებისა და მოსწავლეთა შეფასების ახლებურად მიდგომის გარეშე.

—მიგაჩნიათ თუ არა განათლების დღევანდელი მინისტრი ბატონი ალექსანდრე კარტოზია რეფორმატორ მინისტრად, რას იტყვით მასზე, როგორც მინისტრზე?

—ყოველ ეპოქას გამოჩენილი პიროვნება ჰყავს. ასეთია დღეს სახალხო განათლების სისტემისათვის საქართველოს განათლების მინისტრი ბატონი ალეკო კარტოზია.

—მშობლებთან მიზანმიმართული მუშაობა ყოველთვის მომგებიანია სკოლისათვის. ამ კუთხით რა გეგმები გაქვთ?

—მოხდა განახლებული დირექციის შეხვედრა მშობლებთან, არჩეულია მზრუნველთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს კრიმინალური პოლიციის უფროსი ამირან კვირიკაშვილი. შემუშავებულია პროგრამა, რომლის რეალიზაციისათვის პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

—რას გულისხმობთ ძნელადაღსაზრდელ მოზარდში და როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საჭირო პოლიციის ჩარევა მასთან ურთიერთობაში, ანდა განთესვა სკოლიდან?

—ძნელადაღსაზრდელ და ძნელადსამუშაო მოსწავლეთა საკმაო რიცხვია ჩვენს სკოლაში. არსებულმა სოციალურმა პირობებმა მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა დაძაბა. მოზარდი გაურბის მშობელს, მასწავლებელს, ექცევა ქუჩის გარემოცვაში. იმისათვის, რომ ქუჩას გამოვტაცოთ, მიზნობრივად მიმაჩნია სკოლის, ოჯახის, საზოგადოებისა და პოლიციის შესაბამის სამსახურებთან (მხედველობაში მაქვს ბავშვთა ოთახის ინსპექტორი) თანამშრომლობა.

—სკოლა ინვენტარისა და ტექნიკური საშუალებების გარეშე წარმოუდგენელია. ამ მხრივ სკოლაში რა მდგომარეობაა?

—არსებული დგამ-ავეჯი მოძველდა და ჯერ-ჯერობით ახალი ვერაფერი შემოვიტანეთ.

—განათლების სამინისტრომ დაგეგმა სკოლის დირექტორების კონკურსი. თქვენი აზრი ამ საკითხზე.

—აუცილებელია, რადგან სკოლას უნდა ჰყავდეს გამორჩეული წინამძღოლი, კარგი პედაგოგი, მენეჯერი, რომელიც ზედმიწევნით უნდა ფლობდეს სასკოლო ცხოვრების ყველა ნიუანსს. ოღონდ კონკურსი უნდა იყოს ობიექტური.

—რას იტყვით მოსწავლეთა ტესტირების შესახებ, ბევრი მოსწავლე და მშობელი უკმაყოფილოა ტესტირებით.

—მივესალმები, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები ტესტირებულია. ამით ერთგვარად დავუახლოვდით მათ. გარდა ამისა ტესტირების დროს უმაღლეს დონეზეა აფასენილი მოსწავლეთა ლოგიკური და დამოუკიდებელი აზროვნება. ამასთან მიმაჩნია, ტესტირება ამართლებს სწავლების შუალედურ პროცესში და არა წლის ბოლოს, როცა ჯამდება მთელი წლის შედეგები.

—თქვენი აზრი სახელმძღვანელოების შესახებ. (მის ხარისხზე, ავტორებზე, შინაარსზე და ა.შ.

—მინდა ყურადღება გავამახვილო სახელმძღვანელოებზე ჩატარებული კონკურსიდან,გამოვლინდნენ გამარჯვებულები, დიდი მეცნიერები, მაგრამ მათი რთული ენა არ ესმით ჩვენს მოსწავლეებს, განსაკუთრებით დაწყებით კლასების სახელმძღვანელოებზე მაქვს საუბარი. კარგი იქნება, პრაქტიკოს მასწავლებლებს თუ ჩარევენ ამ საქმეში, რამეთუ ისინი უკეთ იცნობენ ჩვენს მოსწავლეებს, რომლებსაც ადვილადაღქმადი, ასაკის შესაფერისი სახელმძღვანელოები ესაჭიროებათ. ამასთან გასაუმჯობესებელია მათი პოლიგრაფიული დონეც.

—თქვენ ძლიერ ქიმიკოსად გაღიარებენ რაიონში და არამარტო რაიონში, ხომ არ დაუბარალებს ბავშვებს ქიმიის შესანიშნავი სპეციალისტის თანამდებობაზე წასვლა?

—რა თქმა უნდა არა, უპირველეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ქიმიის მასწავლებელი ვარ ჩემი ენერგია 30 წელია ძირითადად იმაში იხარჯება, რომ ეს მეცნიერება ბავშვებს შევასწავლო. ამან გარკვეულწილად ერთგვარი როლი ითამაშა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში და თუ გნებავთ იმაშიც, რომ დღეს მდიდარი ტრადიციების მქონე ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ვარ.

—თქვენ მეორე სერიოზული თანამდებობა გაქვთ. (სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების უფროსი) თქვენი ენერგია კი გვჯერა, მაგრამ ხომ არ გაშინებთ ორივეს ერთად წინამძღოლობა?

—ჯერ-ჯერობით არა. თუ როგორ შევუთავსე ეს ორი სამსახური ერთმანეთს ამას სტუ მისაღები გამოცდები გამოაჩენს. უკმარისობის გრძნობის გაჩენის შემთხვევაში სწორი არჩევანის გაკეთება არ გამიძნელდება.

—თქვენ წარჩინებით დაამთავრეთ სკოლა, უნივერსიტეტი გჭონდათ შანსი, უკეთ მოგეწყოთ თქვენი ცხოვრება. ხომ არ ნანობთ?

—ყველაფერი უფლის ნებით ხდება. რაც კი ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოა, დაკავშირებულია ჩემს საყვარელ ლეჩხუმთან, რაიონის სახალხო განათლების სისტემასთან და არ ვნანობ.

—მიუხედავად ყველაფრისა მაინც ქალი ხართ. ხომ არ გიშლით ეს ხელს მომენტებში?

—მებრძოლი სულისა ვარ. ადვილად ვერ წამაქცევს ცხოვრება. ამდენად ხელს არ მიშლის.

—ქალის საუკეთესო თვისებათაგან რას გამოარჩევდით?

—ერთგულებას.

—როგორია ქალბატონი ნუნუ სკოლის მიღმა?

—მშრომელი, აგრეთვე მზრუნველი შვილი, მზრუნველი დეიდა, მზრუნველი მამიდა.

—რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?

—სიცრუე, ორპირობა.

—თქვენი სუსტი წერტილი

—ჩემი ძმისშვილები.

—რას გვეტყოდით ჩვენი საუბრის ბოლოს...

—მინდა წარმატებები ვუსურვო თქვენს გაზეთს. ჩემს საყვარელ პედაგოგიურ კოლექტივს, პენსიონერ მასწავლებლებს. ამასთან არ ვიქნები მართალი თუ საუკუნო ნეტარებას არ შევუთვლი ცაგერის საშუალო სკოლის განახლებული ხელმძღვანელების აღმზრდელთ: ლევან ჩიქოვანს, კარლო გოდოლაძეს, სამსონ კოპალიანს, პლატონ ცვარიანს, ენენა გელოვანს, ნადია ფრუიძეს. ანეტა მუსელიანს, ქოზია კანაჩაძეს, ეკატერინე გუგავას, მაყვალა ყურაშვილს, გელა ხვადაგიანს...

დირექტორის კაბინეტიდან გამოვედი... დერეფნებსა და სკოლის ეზოში სრული სინუნარე სუფევდა, მხოლოდ საკლასო ოთახებიდან ისმოდა მასწავლებლისა თუ მოსწავლის სასიამოვნო ხმები.

მართლაც, დღეს ძნელად თუ ნახავ ადამიანს, რომელიც თავის პროფესიაზე, საქმეზე უზომოდ შეყვარებული იყოს და პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას. ასეთია სწორედ ეს ქალბატონი.

ეკა ყვირილიანი

როგორ განაწილდა ფულადი დახმარება?

განმარტებას გვაძლევს კომისიის თავმჯდომარე

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ამას წინათ რაიონის მეწყრით დაზარალებულმა 70-მა ოჯახმა ფულადი დახმარება მიიღო. ეს უდიდესი სიკეთეა შეჭირვებული ჩვენი მოსახლეობისათვის, თუმც რაიონში მეტ-ნაკლებად მეწყრისგან დაზარალებული ასობით კი არა, ათასობით ოჯახია. ამდენად, გამოყოფილი მიზერული თანხა (25000 ლარი) ვერ გაწვდებოდა ყველას. ამიტომ გასაგებია ის მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი, რაც განცხადებების შესწავლასა და დახმარების განაწილებას მოჰყვა.

რამდენად ობიექტურად გაიცა დახმარება, რა კრიტერიუმებით, გამოიყოფა თუ არა ანალოგიური დახმარება ისევ რაიონის მოსახლეობისათვის--ამ საკითხებზე განმარტება ვთხოვეთ ცაგერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მეწყრული მოვლენებისაგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ პიერ ფუტკარაძეს:

მინდა, პირველ ყოვლისა, ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ გაზეთის აღდგენა. ჩემთვის ნაცნობია და ახლობელი რედაქციის სპეციფიკა-სირთულეები. მინდა დაგლოცოთ და დაგილოცოთ ერთგული მკითხველი, დაგემსახურებინოთ მისი ნდობა და სიყვარული, მართალი, მხოლოდ და მხოლოდ მართალი სიტყვით გაგეთბოთ მისი გული.

ახლა მინდა მადლობა გითხრათ, რათა მომეცა საშუალება გაზეთის მეშვეობით საჯაროდ განვმარტო და ნათელი მოვფინო საკითხს, რომელიც მეტ-ნაკლებად ბევრს აწუხებს და რომელიც ჩვენი მეწყრისგან დაზარალებული მოსახლეობის ფულად დახმარებას ეხება.

რაიონში მოსახლეობის ნახევარზე მეტი მეწყრულ ზოლში ცხოვრობს. მეწყრული პროცესი წლების წინ დაიწყო და წლითიწლობით ძლიერდება. რაიონის გამგეობამ და რაიონულმა საკრებულომ მოვიწვიეთ გეოლოგი, სპეციალისტები, მათთან ერთად შემოვიარეთ მთელი რაიონი და დავაფიქსირეთ ზოგადი მდგომარეობა: აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 60-70 პროცენტია მეწყრისგან დაზარალებული. ამის შემდეგ მომზადდა გამგეობისა და საკრებულოს ერთობლივი წერილები პრეზიდენტის, პარლამენტის სახელზე, მოვითხოვეთ 70000 ლარის გამოყოფა. მეწყრისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. ეს მართლაც მიზერული თანხაა, მაგრამ იგი მინიმალურად მაინც წაადგებოდა ჩვენს გასაცოდავებულ მოსახლეობას. არაერთგზის შეხსენებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ კარლო მუშკუდიანის ჩარევით გამოგვიყვეს 70000 ლარი. 20000 ლარს გაუკეთდა სეკვესტრი რესპუბლიკაში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო. რაიონმა ფაქტობრივად მიიღო 25000 ლარი.

როგორც კი მოვიდა ეს თანხა, გამგეობის გადაწყვეტილებით შეიქმნა, ჩემის აზრით, კომპეტენტური კომისია, რომელიც შეძლებდა ამ თანხის კანონიერად და ობიექტურად განაწილებას. ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველმა იცოდეს კომისიის წევრები. ესენი გახლავთ: შალვა ცვარიანი (საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარე), მევლუდ თოდიძე (მიწის მართვის სამმართველოს უფროსი), შერაგ ყვირილიანი (სოფლის მეურნეობისა და სურსათის განყოფილების გამგე), ბონდო კოპალიანი (გამგეობის შრომისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგე), ნუშარ ხვადაგიანი (რაიონის არქიტექტორი).

კომისიამ ორხვიდან მოყოლებული მახურით დამთავრებული ადგილზე მისვლით და ვიზუალურად მდგომარეობის გაცნობით შეისწავლა 450 განცხადება, მაგრამ არის ოჯახები, რომელთაც არ ჰქონდათ განცხადებები შემოტანილი, თუმც მეწყრისგან დაზიანებული არიან. ამის თაობაზე წინასწარ ოფიციალურად გავაფრთხილეთ .სოფლის გამგებლები, რომლებიც თან გვახლდნენ და გვაკვალიანებდნენ.

450 განცხადებიდან კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რა თქმა უნდა, გამოყოფილი თანხიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დაეკმაყოფილებინა უფრო ძლიერ დაზარალებული 70 კომლი. გადაწყდა პირველი კატეგორიისთვის მიგვეცა 500, მეორისთვის--300 ლარი. პირველ კატეგორიაში ვგულისხმობთ კომლებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დანგრეული და საცხოვრებლად უვარგისია, მეორეში კი ისეთებს,--რომელთა სახლები ისეა დაბზარულ-დახსნილი, რომ საცხოვრებლად თითქმის საშიშია.

კომისიას გაუჩნდა აზრი ხანძრით დამწვარ ოჯახებზეც გაეცა დახმარება, მაგრამ შესაბამისი ზემდგომი ორგანოებიდან ოფიციალური უარი მივიღეთ იმ მოტივით, რომ ეს თანხა გამოყოფილ იყო მხოლოდ სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის.

კომისიამ სერიოზული და შრომატევადი მუშაობა გასწია. იყო არა ერთი წინაალმდეგობა, გაუგებრობა, უხერხულობა, საჩივარიც, გნებავთ აჟიოტაჟიც. მაგრამ საბოლოოდ მივედით სწორ და ჩემის აზრით, ობიექტურ გადაწყვეტილებამდე. სხვათაშორის მოსახლეობაც გვერდით დაგვიდგა და ბევრ რამეში ჩაგვახედა. არქივიდან მოვიძიეთ მე-700 ანგარიშიდან 1987-1989 წლებში გაცემული თანხები. განმცხადებელთაგან, ვისაც ასეთი ჰქონდა მიღებული, ვერ მივეცით დახმარება, [illegible] სახლოები აქვს გამოყოფილი, იმათაც უარი ეთქვათ, [illegible] ცხოვრობს რაიონში და კომლი კარჩაკეტილია.

თანხა გამგეობის გადაწყვეტილებით გამგეობის ბუღალტერიიდან გაიცა გარკვეული ობიექტური მოსაზრებების გამო. სია, ვისზედაც გაიცა დახმარეა, დევს კომისიაში და შეუძლია ნახოს ნებისმიერმა, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. თუ ვინმეს რამეში ეჭვი შეეპარება, თავად მოვითხოვთ გადამოწმებას.

დახმარება მთლიანად გაცემულია. როგორც ზემოთ ვთქვი, თანხა მართლაც მინიმალურია, მაგრამ მაინც ცის მანანასავით წაადგება ჩვენს ხალხს.

რაც შეეხება დანარჩენ თანხას, კვლავ ვაყენებთ ახალ მოთხოვნებს, დეპუტატიც იბრძვის და გვაქვს იმედი, რომ გამოგვიყოფენ.

კომისიაში უკვე შემოსულია 300-ზე მეტი განცხადება, ალბათ კიდევ შემოვა. შევეცდებით გათვალისწინებულ იქნას იმათი ინტერესები, რომლებიც პირველ ეტაპზე დარჩნენ დახმარების გარეშე.

და მაინც, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, იქნებ ვერ მოვიცავით ყველა ოჯახი, ვისაც შესაძლოა უფრო უჭირდეს, ვიდრე იმას, ვინაც დახმარება მიიღო. აქ, ჩვენთან ერთად იკვეთება სოფლის გამგებელთა პასუხისმგებლობის საკითხი. მათი ოფიციალური განაცხადის გარეშე რაიონული კომისია ვერანაირად ვერ შეძლებდა სწორი, ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. დასკვნა ერთია: ან ჯეროვნად ვერ ვფლობთ რა მდგომარეობაა ადგილებზე, ან კიდევ არ გვინდა ვიცოდეთ. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და ვთხოვ სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ გულდასმით შეისწავლონ მეწყრით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობა, რათა ანალოგიური დახმარების მიღების შემთხვევაში გამოირიცხოს რამე შეცდომა ან უხერხულობა.

მზევინარ ძნელაძე

აქცია

მოჯადოებულ წრეზე--ანუ ვინ არის დამნაშავე?!

განათლების განყოფილების წინ პედაგოგთა სიმრავლემ შორიდანვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ახლოს მისულებს კი ასეთი ფრაზით შემოგვეგებნენ: სამართალს ვეძებთო უსამართლო ქვეყანაში, 26 იანვარს ჩამორიცხული ტრანსფერიდან დღესაც არ მიგვიღია იანვრის ხელფასი". (ცნობისათვის: „დღეს"--13 თებერვალია).

აქციის შინაარსი ბოლომდე რომ გაგვეგო, განათლების განყოფილების სხდომათა დარბაზში შევყევით პედაგოგებს და... სწორედ აქედან იწყება იმ დამნაშავის ძებნა, რომელსაც დღემდე სად არ ვეძებთ, მაგრამ ვერსად ვპოვეთ. ვერ ვპოვეთ იმიტომ, რომ ამ მოჯადოებულ წრეზე მართალია ყველა ბრუნავს, მაგრამ თითოეულს თავისი კუთვნილი მყუდრო და თბილი ადგილი აქვს და ერთმანეთისაკენ იშვერენ ხელს. ხოლო ის უჩინარი, ვიღაც ფანტომასი, ჩვენს ნერვებსა და ჯიბეს შემოჩენილი, შეძლებისდაგვარად ცდილობს დამალოს თავი, მაგრამ ხეირიანად ვერც ამას ახერხებს და სირაქლემას სტილზე გამოსდის.

ნაწყვეტები დარბაზიდან:

--ბარდნალის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მთვარისა ახვლედიანი: „ჩვენ ძალიან გვტკივა გული იმაზე, რომ ყოველთვის, როცა მოდის ხელფასები ერთი და იგივე სკოლებს ეძლევათ პრივილეგია. ხომ აიღეს ხელფასი ცაგერის, ლასურიაშის სკოლების, და მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგებმა? რატომ ხდება ასე ძალიან ხშირად? არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის დღეს მივიღებთ თუ არა ხელფასს, რადგან ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს--ვინ დაარღვია შესაბამისობა. ვინ დაგვიანა ჩვენი შრომის საფასური მთელი 19 დღე. ამასთან, მოვითხოვთ გადავიდეს ჩვენი ანგარიში საფოსტო ბანკში, რადგან იქ ალბათ უკეთ მოგვემსახურებიან".

--ბარნალის საშუალო სკოლის დირექტორი: ოთარ ხეცურიანი--„ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტრანსფერი კარგა ხნის მოსული იყო, შევედით რაიონის გამგებელთან, იქ იმყოფებოდა აგრომრეწვბანკის მმართველი ბონდო ჭაბუკიანი. ვკითხულობთ--რა ხდება? რატომ ხდება? ბანკის მესვეურთაგან ვღებულობთ ასეთ პასუხს: „დავრეკეთ; ყველაფერი გავარკვიეთ და ხვალ ბუღალტერი გამოაგზავნეთ". ესეც სიცრუე აღმოჩნდა. ამიტომაც შეიქმნენ იძულებულნი ჩვენი სკოლის, და არა მარტო ჩვენი სკოლის პედაგოგები დღეს სასწავლო პროცესი ჩაეშალათ და სამართალის საძებნელად რაიონის ცენტრში მოსულიყვნენ.

მოვითხოვთ სასწრაფოდ გაირკვეს მტყუან-მართალი".

მტყუან-მართლის გარჩევას ბარდნალის პედაგოგებთან ერთად ქვედა ცაგერისა და ლუხვანის სკოლის პედაგოგებიც ცდილობდნენ.

რაიონის განათლების განყოფილების გამგის გულივერ ბრეგვაძის გამოსვლიდან: „მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ თქვენს წინაშე, მაინც გიხდით ბოდიშს. 26 იანვარს წამოსული ტრანსფერის გამო, ჩვენი სამსახური ეცადა, 28 იანვრისთვის დაფინანსებულიყო ყველა ის სამსახური, რომელიც ჩვენგან იღებს ხელფასს. გავიდა გარკვეული დრო. ადგილობრივ ბიუჯეტში გაჩნდა პატარა თანხები, რომლითაც დაკმაყოფილდნენ ცაგერისა და ლასურიაშის საშუალო სკოლები. ეს მოხდა უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ იმ დღეს მხოლოდ ისინი აღმოჩნდნენ ხელფასის გასატანად მოსულები.

მე პირადად საკრებულოს თავმჯდომარესთან, აგრომრეწვბანკის მმართველთან ერთად მრავალგზის ვეცადე მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ შეფერხება მაინც მოხდა. ჩვენ აუცილებლად უნდა გავერკვეთ ვინ არის დამნაშავე".

აქციას ესწრებოდნენ რაიონის გამგეობის შრომისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგე ბონდო კოპალიანი და პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარე ბატონი შალვა ცვარიანი.

დარბაზში მსხდომი ჩინიანი თუ უჩინო, შეფარული თუ პირდაპირი ტონით ხელს ბანკის მმართველისაკენ იშვერდა. დარბაზშივე გამიჩნდა იმის სურვილი, რომ მოეყვანათ ბატონი ბონდო ჭაბუკიანი, რათა ამდენი ტყუილ-მართალი ბრალდებისათვის წინაალმდეგობა მაინც გაეწია. ჩემი აზრი ხმამაღლა გამოვხატე, მაგრამ ეს რატომღაც არ მოხერხდა.

ბანკის მმართველს ცაგერის აგრომრეწვბანკში, თავისსავე კაბინეტში შევხვდი. მასთან მისვლამდე გავიგე, რომ ფული ამოეტანათ და ნანატრი ხელფასებიც ადრესატებს მოძებნიდა.

ბატონმა ბონდომ ჩახლართული ამბის ქრონოლოგია ასე მოგვიყვა: „26 იანვარს ჩამორიცხულმა ტრანსფერმა ჩვენს ბანკში 30-ში ჩამოაღწია. ეს იყო დაახლოებით საღამოს რვა საათი. რატომღაც ტრანსფერის ჩამორიცხვას ფულის მოტანასთან აიგივებენ. სინამდვილეში კი ფულზე მოთხოვნა შემდგომში კეთდება. თანხაზე მოთხოვნა კი თვის ბოლო რიცხვებისა და უშუქობის გამო შეფერხდა. ერთი სიტყვით, 6 თებერვალს გაკეთდა ბალანსი, ექსშივე გაიგზავნა მოთხოვნა, 7 თებერვალს მოთხოვნა ქუთაისმა მიიღო, შემდეგ ფაქტიურად ელექტროენერგია მთელი სამი დღის განმავლობაში აღარ იყო და... ერთი სიტყვით თავს ნამდვილად არ ვიმართლებთ. ცოტა ჩვენ დავაგვიანეთ, ცოტაც ქუთაისმა და საბოლოო ჯამში საკმაო დაგვიანება გამოვიდა. მომავალში საქმე გამოსწორდება და თუ ისიც მოხერხდა რომ ტრანსფერი ყოველი თვის 20-მდე მაინც ჩამოირიცხა, დაგვიანებას ადგილი აღარ ექნება".

ტრიალებს, ბრუნავს მოჯადოებული წრე. როცა ბანკიდან გამოსულს ხელფასის ასაღებად წინ პედაგოგები, სკოლის დირექტორები და ბუღალტრები მხვდებოდნენ, დიდი გალაკტიონის სიტყვები ამეკვიატა:

„ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ კარგად არის".

მარინა სვანიძე

ფოსტა

სოფლის საამაყო შვილებს--ჩვენი მადლობა

დიდია და ლამაზი სოფელი ზუბი, უძველესი ტრადიციების მქონე. იგი ამაყობს თავისსავე.კალთაში გამოზრდილი საამაყო შვილებით. სწორედ სოფლის კარგი შვილები არიან იმ საქმის სულისჩამდგმელნი, რომელსაც წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობა ჰქვია. მშენებლობა თითქმის დასრულების ფაზაშია და მის გახსნას სრულიად საქართველო გაიგებს.

ამჯერად კი სოფლის მეორე ტაძრის--სკოლის მიმართ გაწეული ამაგის შესახებ მინდა მოგითხროთ:

ოთხმოცდაათიანი წლების დამანგრეველმა ხელმა არც ზუბის სკოლა დაინდო--ლამის კარკასამდე დავიდა. გასული წლის დეკემბერში პირველი დახმარების ხელი სკოლას ჯემალ რაფიელის ძე კუხალაშვილმა გამოუწოდა (იგი დედაქალაქში მოღვაწეობს, არის საზოგადოება „ორიონის" გენერალური დირექტორი). საჩუქრად გადმგვცა მთელი სკოლისათვის სამყოფი მინები. მანვე 2001 წლისათვის სკოლას ოთხი დასახელების გაზეთი გამოუწერა. დღეს სისტემატურად ვღებულობთ პრესას, რომელიც მასწავლებელთა და მოსწავლეთა გარდა სოფლის მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომია. ბატონმა ჯემალმა გაგვიკეთა და გამოგვიგზავნა სკოლის ახალი აბრა-წარწერა.

ჩვენი სოფლის რძალმა, ჟურნალისტმა იზოლდა ხაინდრავაბენიძემ სკოლას 100 ცალი ნათურა აჩუქა საახალწლოდ.

სიკეთისქმნელი შვილები მომავალშიც ჰპირდებიან სკოლას თანადგომას და დახმარებას.

სკოლის დირექცია, კოლექტივი, მოსწავლეები და მთელი სოფელი უდიდეს მადლიეროებას გამოხატავს გაწეული ამაგისათვის.

ღმერთმა ინებოს, და, ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგებს კვლავაც ემაყოთ თავიანთი აღზრდილებით.

მერაბ დავითულიანი,
ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

....რადგან შემთხვევით არაფერი ხდება



ყოვლადუსამღვდელოესმა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსმა ჩვენს პირველ ინტერვიუში ასეთი განმარტება მოგვცა: „ქართველებს გვაქვს საოცარი სიტყვა „გარდაიცვალა". როცა ადამიანი მოკვდება, მასზე ამბობენ გარდაიცვალაო, რაც იმას ნიშნავს, რომ დამთავრდა მისი „ამქვეყნიური ყოფა" და იწყება ახალი ცხოვრება. აქედან გამომდინარე, თითოეულ ჩვენგანს უნდა გვწამდეს, რომ ადამიანის სული არ კვდება, ის მხოლოდ ტოვებს სხეულს და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის__გარდაიცვლება.

საქართველოში დღეს იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელსაც ან უახლოესი ნათესავი, ან მეგობარი, ან შვილი, ან თანამეცხედრე, ან დედმამიშვილი არ ჰყავდეს გარდაცვლილი. მართალია, ჩვენ ყველანი „მიწის შვილები" ვართ და როგორც დიდი კონსტანტინე ბრძანებს: ბოლოს ყოველ ჩვენგანს მოელის უკანასკნელი ომი, სადაც როგორც მეფე, ისე ყმა იძულებული გახდებიან მარტოხელად იომონ", მაგრამ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებით განიცდის ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილს. მინდა ყურადღება უფრო შვილმკვდარ დედებზე გავამახვილო. ასეთი „სვეგამწარებული" შაოსნები ხომ ჩვენს გვერდით ბევრნი არიან და ყურადღებას იქცევენ წრეგადასული მწუხარებით თუ სიბრალულით.

გარდაცვალებისას ხდება სულის სხეულისაგან გამოყოფა. პირველი სამი დღე იგი იმყოფება დედამიწაზე, დასტრიალებს მის სხეულს, ახლობლებს. მესამე დღეს (პირველ დღედ გარდაცვალების დღე ითვლება) ანგელოზები სულს ზეცაში აიყვანენ და წარადგენენ უფალთან. ამის შემდეგ ექვსი დღის განმავლობაში ათვალიერებენ სასუფეველს.

გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს კი მას წარადგენენ უფალთან, რის შემდეგაც ახლა ჯოჯოხეთს მოატარებენ. მეორმოცე დღეს შედგება ახალგარდაცვლილის პირადი სამსჯავრო. ანგელოზები წარმოადგენენ მის კეთილ საქმეებს, რაც სიცოცხლეში ჩაუდენია, აგრეთვე იმ სიკეთესაც, რომელიც მის სახელზე სხვამ აღასრულა, განსაკუთრებით გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში.

საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეულ დარდს ორი გარემოება ამსუბუქებს: ერთი, ავღნიშნეთ, რომ სული არ კვდება და მასთან განშორება არაა მარადიული, და მეორე__ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ მისი სამუდამო ადგილსამყოფელის განსაზღვრაში, ჩვენ შეგვიძლია ვიზრუნოთ მისთვის. მიცვალებულს ეკლესიაში უნდა გადავუხადოთ პანაშვიდი გარდაცვალებიდან პირველ, მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეს. ამის შემდეგ გარდაცვალების ყოველ წლისთავსა და დაბადების დღეზე. ამასთან შეგახსენებთ, რომ მოუნათლავის და თვითმკვლელის ლოცვაში მოხსენიება არ შეიძლება.

გარდა ამისა, ეკლესიაში მიცვალებულთა მოხსენიება მიმდინარე წელს აღინიშნება: 10, 17, 24 მარტს (დიდმარხვაში). ამ დღეებში ტაძარში აღესრულება სპეციალურად მიცვალებულთათვის განკუთვნილი წირვა-ლოცვა, რომელსაც უნდა დაესწრონ ჭირისუფლები, წირვის დროს შეიძინონ სეფისკვერი და მიცვალებულთა სახელებთან ერთად შეაგზავნონ საკურთხეველში, რომელსაც მრვდელი კვეთაში მოიხსენიებს. ჩვეულებრივ მორწმუნეებს ტაძარში მოაქვთ საკურთხი და წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი. მიცვალებულთა სულებს დავეხმარებით, თუ თითოეული ჩვენგანი მათ სახელზე გავცემთ რაიმე მოწყალებას. კარგი იქნება, თუ შევუკვეთავთ წირვას მიცვალებულის სახელზე, რომელსაც დაესწრებიან ოჯახის წევრები და მიიღებენ წმინდა ზიარებას შესაბამისად მომზადებულნი.

ახლა კი მინდა თქვენი ყურადღება ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე გადავიტანო. ალბათ, ჩვენს საკათედრო ტაძარში შესულთ მოგიკრავთ თვალი შავად შემოსილ ქალზე, რომელიც დღემუდამ ლოცულობს მისი ქმარ-შვილის, სიძის სულების საოხად. მიმიხვდებით ალბათ, ვინც მყავს მხედველობაში__დალი თვარაძე, რომელსაც უბრალოდ დალი დეიდას ვეძახით.

ერთ დღეს დალი დეიდამ ჩვეულებრივზე უფრო მოსიფარულე და სიხარულით გაბრწყინებული (ეს უკანასკნელი ძალზედ იშვიათია მისი ცხოვრებიდან გამომდინარე) თვალები შემოგვანათა და დიდი აღფრთოვანებით გვიყვება იქ მყოფებს შემდეგ სიზმარს თუ ჩვენებას:

„ივნისის თვეში ვნახე სიზმარი, თითქოს ჩემს ეზოში, ჭასთან მოვიდა ჩემი უმცროსი გარდაცვლილი შვილი მამუკა და გვერდით მოჰყვებოდა პატარა ბიჭი, რომელიც უცაბედად ამ ჭაში ჩავარდა. რის ვაი-ვაგლახით ბავშვი მე და მამუკამ წყლიდან ამოვიყვანეთ, მაგრამ ბავშვი ნაჭერ-ნაჭერ დაჭრილი იყო და წყლიან ქვაბში იხარშებოდა. გამოღვიძებისთანავე მივხვდი, რომ უფალი რაღაცას მაცნობებდა, მაგრამ რას გაუცნობიერებელი იყო ჩემთვის.

ამ სიზმრის ნახვიდან გავიდა დაახლოებით ორი კვირა და ჩემი შვილიშვილი მესტუმრა მარტო, რომელმაც განმიცხადა, რომ დედა ფეხმძიმედაა, აბორტი უნდა გაიკეთესო და შემდეგ ჩამოვაო. ბავშვის ამ ნათქვამმა ჩემი სიზმარი გამახსენა. აი, თურმე რას მაცნობებდა უფალი, ჩემს ქალიშვილს თავისი შვილი უნდა მოეკლა და მე ის უნდა გადამერჩინა. მივენდე უფალს და ღვთისმშობელ დედას სახლში და ტაძარში ცრემლით შევსთხოვდი, რომ გადაერჩინა ის პატარა ბიჭი, რომელიც მამუკამ მოიყვანა.

ამ ჩემი ლოცვა-ვედრებიდან სამი კვირის შემდეგ ჩამოვიდა ჩემი ქალიშვილი, საბედნიეროდ დიდი ცოდვისაგან გადარჩენილი.

ამის შემდეგ ვიცოდი, რომ ბავშვი დეკემბრის თვეში დაიბადებოდა, ძალიან გამიხარდა, რადგან ჩემი მამუკაც ქრისტესშობის თვეში იყო დაბადებული. მალე გამიჩნდა გულში ასეთი აზრი: რა იქნება სასწაული მოხდეს და ეს ბავშვი მამუკას დაბადების დღეზე დაიბადოს-თქო. ხმამაღლა ამის თქმას ვერ ვბედავდი, ამ სასწაულის ღირსად თავს არ ვთვლიდი. [illegible] უფალმა საოცარი მადლი გაიღო ჩემზე. ჩემი შვილიშვილი 14 დეკემბერს დაიბადა, ჩემი მამუკას დაბადების დღეზე, ხუთშაბათ დღეს, დილის 4 საათზე. მამუკაც ამ დღეს იყო დაბადებული ზუსტად ამავე საათზე. წლების განმავლობაში 14 დეკემბერი ხუთშაბათ დღეს არ დამთხვევია... ბიჭს ბუნებრივია მამუკა დავარქვით...

გაოგნებული ვარ სიხარულით და ამ დიდი სასწაულით. ამით უფალმა მამცნო, რომ მამუკა არ დაკარგულა და ჩემს გვერდით არიან ჩემი მეუღლე და ჩემი ბიჭები ნებისმიერი განსაცდელის დროს".

ამ მონათხრობის შესახებ კომენტარი საკათედრო ტაძრის წინამძღვარს მამა იოსებს ვთხოვე:

„ეს ქალი დიდ განსაცდელში ჩავარდა. მართალია, მან ოთხი უსაყვარლესი ადამიანი დაკარგა, მაგრამ მოთმინების შედეგად არ დაკარგა სასოება და მადლი მოიპოვა ღვთისაგან. ამ განსაცდელმა (რომელიც არაერთი იყო) ის უფალთან მიიყვანა, ეკლესიური ცხოვრება, მიცვალებულებზე ლოცვა ასწავლა, შემდეგ კი უდიდესი განსაცდელისაგან იხსნა ქალიშვილი, მისმა ცხოვრების წესმა დაღუპვას გადაარჩინა შვილი და შვილიშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქალიშვილი თავისივე შვილის მკვლელი გახდებოდა.

რაც შეეხება სიზმარს. ჩემი აზრით, ამ სიზმრით უფალმა ამცნო მას მოსალოდნელი უბედურება, შემდეგ კი გულით ლოცვისა და ვედრების შედეგად იხსნა იგი ამ განსაცდელისგან. ამიტომ ეს სიზმარი ღვთისგან იყო. და კიდევ ბავშვის დაბადების თარიღის, დღისა და საათის ზუსტად დამთხვევა არ შეიძლება უბრალო შემთხვევითობას მივაწეროთ. მინდა გითხრათ, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. მასზე ღვთის მადლი გადმოვიდა, რამაც უსაზღვრო სიხარული მოუტანა"

„დედის გული ზღვაა სიყვარულისა"__გვასნავლის ილია. ხშირად გვსმენია, წმინდა მამათა შეგონებებიდან დედის ლოწვის უდიდეს ძალაზე. მის სასნაულებრივ შესაძლებლობებზე. ვუსმენდი დალი დეიდას ამ სასნაულებრივ მონათხრობს და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვესაუბრებოდი ნამდვილ ქართველ ქალს, შემკულს ღირსებებითა და დედობის წმინდა მოვალეობით აღჭურვილს. ალბათ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ დალი დეიდა მართლაც და მისაბაძი მაგალითია შვილმკვდარი და არა მარტო შვილმკვდარი დედისა, საერთოდ ქართველი ქალის.

ეკა ბენდელიანი



ტვიშის საშუალო სკოლაში

ტვიშის საშუალო სკოლის დარბაზში გაიმართა შემეცნებით-გასართობი ვიქტორინა ფიზიკა-მათემატიკაში ((მასწავლებლები მ. ჩხაბერიძე, თ. ქათამაძე) და დევიზით „ვის უნდა ნატვრისთვალი?" ვიქტორინაში მონაწილეობდნენ მეშვიდე-მეთურთმეტე კლასების მოსწავლეები ორ გუნდად. პროგრამაში შედიოდა ამოცანები, გამოცანები, გასართობი შეჯიბრებები, ცდები და ა.შ.

ჟიურის გადაწყვეტილებით ორივე გუნდმა თანაბარი ქულები დააგროვა. დირექციამ ყველა მონაწილე დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით, ხოლო საგნის მასწავლებლებს მადლობა გამოუცხადა.

ღონისძიება მიჰყავდა სკოლის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორს მედეა ჩხაბერიძეს.

დავით ასათიანი

ტვიშის საშუალო სკოლის

დირექტორი

ნეტავ მალე დათბებოდეს..!

მართალია, ირგვლივ მობილურების ზარებია, მაგრამ არის ადამიანთა საკმაოდ დიდი კატეგორია, რომლებსაც ჩვეულებრივი ტელეფონით სარგებლობა სჭირდება.

ცაგერის ელექტროკავშირის მეელსმენეთა მუშაობაზე ძვირი არ გვეთქმის, პირიქით, მათ კეთილმომსახურეობაზე, გულისხმიერებაზე ბევრჯერ გვითქვამს. მაგრამ დღეს სულ სხვაა ამ პატარა რეპლიკის დაწერის მიზეზი.

თებერვლის ცივი დღეა. ბარაქიანად თოვს, გათოშილები ელექტროკავშირის სალაპარაკო დარბაზში ვართ. ტელეფონის ნომერი შევუკვეთეთ, მაგრამ სიცივისაგან მოსაცდელში წუთები საათებად გვექცა.

საოცრად ლამაზი და კეთილმოწყობილი გახლდათ ადრე აბონენტთა მოსაცდელი დარბაზი. ახლა მხოლოდ და მხოლოდ ხის ძელსკამი შემორჩენილა აქაურობას საცოდავად. ამას ვინ დაეძებს, ელემენტარულად მინა რომ ჰქონდეს. ფანჯრებს და შიგნით საშინელი ქარი და თოვა არ აღწევდეს. იქნებ შემოგვედაონ მასპინძლები__დეფიციტიაო მინის. შეიძლება, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, როცა მთელს ამ შენობაში მშვენიერი კაბინეტები აქვთ, თბილი და ჩამყუდროებული. არაფერს ვიტყოთდით, აბონენტთა მოსაცდელი მთლად რომ არ დავიწყოდათ. შემინვა ხომ დიდ ფინანსებთან არაა დაკავშირებული, თუმცა ეს სამსახური საკმაოდ დატვირთულია და შემოსავლიანიც. ბოლოსდაბოლოს პოლიეთილენით მაინც შეიძლებოდა დარბაზის დათბუნვა, თუ გული გულობს.

ნეტავ, მალე დათბებოდეს...

აბონენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე აფთიაქი

ძვირფასო მკითხველო! პედაგოგ თინათინ ყურაშვილს, სპეციალობით ბიოლოგს მუშაობის 57 წლის გამოცდილება აქვს იგი მცენარეებით მკურნალობის უბადლო ოსტატია და ამას აკეთებს უდიდესი სიყვარულით, უანგაროდ.

გაზაფხულიდან შემოგთავაზებთ ქალბატონ თინათინ ყურაშვილის მცენარეებით მკურნალობის რეცეპტებს.

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც სამკურნალო მცენარეებითა და ბალახებით მკურნალობა მეტ-ნაკლებად არ აინტერესებდეს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინის არსენალი დღითიდღე ივსება და იზრდება, ახალი ძლიერმოქმედი პრეპარატებით, სამკურნალო მცენარეების მიმართ ინტერესი მუდმივად მატულობს.

ამისთვის საჭიროა შევძლოთ უძველესი ხალხური მედიცინის წიაღში შეღწევა, ვიცოდეთ სამკურნალო მცენარეებით სარგებლობის წესები, აუცილებელი გქონდეს სწორი წარმოდგენა თვით ამ სამკურნალო მცენარეთა ბუნების შესახებ.

უნდა ვიცოდეთ მცენარის ბიოლოგიური ნიშნები, განვითარების სტადიები, როდის ავიღოთ, როგორ შევინახოთ მცენარე, როგორ მოვამზადოთ მისგან სხვადასხვა წამალი ოჯახურ პირობებში.

გაზაფხული დადგა და მალე ალბათ ძალაში შევა, პირველი მახარობლებიც გვეწვევიან, საჭიროა ვიცოდეთ მათი სამკურნალო თვისებები და გამოყენება.

მაქვს საკმაო გამოცდილება, რომელსაც უყოყმანოდ გავუზიარებ ჩვენს ხალხს. მზად ვარ თქვენს სამსახურად.

თინათინ ყურაშვილი-სალინაძე,
პენსიონერი მასწავლებელი,
რესპუბლიკის ბუნების ქომაგი.

ვულოცავთ

რუსუდან ყურაშვილს!

გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია.

გიორგი ნურის ძე ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გაიზარდე სასახელო ბიჭი.

გვანცა ახვლედიანი

გრიგოლ (ბუჩუ) ალექსანდრეს ძე გუგავას

გილოცავთ სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებას.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია.

ნანა ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია.

ჩანაწერი

თითქმის დაიკარგა სითეთრე ზამთრის. ადრე მოვიდა წელს ჩვენში გაზაფხული, რომელმაც პირველი დღეებიდანვე გვაგრძნობინა მისი მშვენიერების მადლი და სიკეთე. ხანდახან მაინც ძალობს, სიცივის დედოფალი—ზამთარი და ეცილებიან ერთურთს დედამიწაზე ტახტისთვის, როგორც ძენი მეფისა. ეტყობა დედოფალს დაღლა და ზეობს პრინცი—გაზაფხული, ჩემი დროაო უცილოდ. უხვად ასაჩუქრებს ქვეყნიერებას სხივის ალერსით. მზე ურცხვად ლოკავს მყინვარით, საამოდ ეჩურჩულება გულზვიად კლდეებს მალე გაგილღობთ გაყინულ გულს და დაგადენთ მარგალიტებად მდინარეებსო... ამის გამგონე ბრაზობს ზამთარი. თითქოს თეთრი საპატარძლო დამჯდარაო ჩადურჯებული გორმახების ფონზე, სახე და მხრები ყინულის თეთრი ჩადრით მოურთავს, საბრძოლო სამზადისშია, თუმცა იცის აღარ ეყოფა ძალა, მისი დრო წავიდა. თითქოს, შეეგუა კიდეც ყველაფერს, მაგრამ უძნელდება, უჭირს დათმობა და ხანდახან აიშლება (განსაკუთრებით მარტის თვეში) მობინდავს, ხოლმე, სამკაულებად დაკიდულ მზის სხივებს, გაეხვევა ჯანღში, ჩამობურუსდება და ღვარებად ჩამოდის ყველაფერზე ცრემლებივით, ცივი წვეტები. ალბათ, ამიტომაც შეარქვეს მარტის თვეს ჭინჭყლი. წლის ორი სტიქიონი იბრძვის, მეტოქეობს.

...აქ კი ისევ იძალებს გაზაფხული. მალე მოიყვანს მტრად მოკიდებულ დობილს ხასიათზე, გადაიყრის ბურუსს და ნამტირალევი ბუნებაც უმანკო ღიმილით გამოიხედავს. მიეხუტება სითბოს, უფრო მაგრად ჩაიკრავს გულში გაზაფხულს და ველარ გაძლებენ მიძინებული კვირტები და უსათუოდ აფეთქდებიან. მდელო იყვავილებს. სპეტაკ სითეთრეს ხასხასა მწვანე ჩაყლაპავს და სადღაც გადაკარგული მერცხალიც გააბრუებს ჭიკჭიკით სიცოცხლეს.

მზემ პაემანი დაუნიშნა დედამიწას. პირველი გაზაფხულია ახალი საუკუნის... უცილობლად გათბება ქვეყანა სიკეთის სხივით და ჩვენც მოკვდავნი.

მრავალ გაზაფხულს, მრავალჟამიერ ჩემო ქვეყანავ, კეთილო ხალხო.

რომეო ჭალანდაძე

ხსოვნა

ნოდარ ხეცურიანის ხსოვნას

დიდი ელდა იყო შენი გარდაცვალება. ყველას თავზარი დაგვეცა—ოჯახს, ნათესავსაც და მეგობრებსაც.

სამმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც შენმა უბოროტო სულმა საბოლოოდ დაგვტოვა, უდიდესი სიცარიელე დატოვე თითოეული შენი ახლობლის გულში. შენი შვილიშვილებიც ხშირად გახსენებენ, მაგრამ...

მართლაც დიდი ტკივილი ხარ, ჩვენი ოჯახის ბურჯო და საძირკველო. ტკივილი, რომელიც შენისთანა ალალმართალ და კეთილ ადამიანს მუდამ გააჩნია.

გვაკლიხარ... გვენატრები.

ჩვენ ვილოცებთ შენი სულისთვის.

შენი ოჯახი

დათო ბერიძის ხსოვნას

ოთხი წელი გასულა შვილო... ჩემო მონატრებულო ერთადერთო ბიჭო. ძალიან მძიმეა ჩემთვის უშენობა. საოცარი დედაშვილობა ვიცოდით და დღესაც ასე გრძელდება თითქოს. მე ხომ ყოველ წამს, ყოველ წუთს შენთან ვსაუბრობ, ესაა, შენგან ვერ ვიღებ სამაგიერო პასუხს და ალერსს.

დათო, დედიკო! სიცოცხლეში მართალია ბევრს გეფერებოდი, მაგრამ ხმამაღლა ერთი საქები სიტყვაც არ მითქვამს შენთვის. მე ხომ იმით ვხარობდი, ყველას რომ უყვარდი და ყველა მართალი სიტყვის ბიჭად გიცნობდა მარტო შენი მეგობრები, შენზე უფროსებიც.

თავზარდამცემი იყო 7 მარტი, ეს იყო შენი წასვლის დრო. გაუსაძლისი ხდება ყოველი დღე. ვერა, ვერ ვივიწყებ იმ უკანასკნელ ჩახუტებას, იმ უკანასკნელ შემოხედვას. შენ ჩემთან ყოფნას მამაშენთან ყოფნა არჩიე. სოსოს ხომ ამ ქვეყნიდან წასვლა ყველაზე მეტად შენს გამო ენანებოდა. ალბათ ამიტომაც წამართვა შენი თავი. მე კი...



დათუნა! ხანდახან ვფიქრობ—თითქოს იცოდი რომ ხანმოკლე იყო შენი წუთისოფელი. 19 წლის ასაკში, აბა, როგორ მოასწარი ამდენი სითბოსა და სიკეთის თესვა. შენი პატარა გული მთებისოდენა სიყვარულს იტევდა. ვინც გიცნობდა ყველას ახსოვხარ კაცთმოყვარე, ვაჟკაცური, ალერსიანი.

ღმერთსაც შენნაირები უყვარს და ალბათ თავისთან ყავხარ. ამიტომაც გეხმარებით მე, აქედან, სიღნაღის დედათა მონასტრიდან, შენ და სოსოს ვლოცულობ, ვლოცულობ და... ველი თქვენთან შეხვედრის დღესა და ჟამს.

შენი დედა მზია

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის რედაქცია თანაუგრძნობს ეკა ბენდელიანს ბებიის

ჟენია ნემსწვერიძე-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო

მადონა ბერიძე, ნათია გუგუნავა, თეა, თამთა ყვირილიანები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

ჟენია ნემსწვერიძე-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქცია პასუხს არ აგებს შემოსულ წერილებზე

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში" ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-09